ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 02

ქ. ონი 13. 02. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მამუკა ყავლაშვილი.

სხდომას კომისიის 12 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ეკა მაისურაძე, ნინო გობეჯიშვილი, ბიძინა ყიფიანი, ნონა მაისურაძე, რევაზ საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი.

არ ესწრებოდნენ: გივი მეტრეველი, როსტომ ლობჯანიძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე შპს ,,ონის სერვისჯგუფის" დირექტორი ნიკოლოზ მაისურაძე, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფ. სპეციალისტი მიხეილ ლობჯანიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის სოფლებამდე მისასვლელი და შიდა საუბნო გზების მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის სოფლებამდე მისასვლელი და შიდა საუბნო გზების მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო შპს ,,ონის სერვისჯგუფის" დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის სოფლებამდე მისასვლელი და შიდა საუბნო გზების მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 6-7 თებერვალს თოვლის სახით მოსულმა უხვმა ნალექმა მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეზღუდა გადაადგილება როგორც ავტოტრანსპორტის, ისე ფეხით მოსიარულეთათვის. დაუყოვნებლივ იქნა მიღებული ზომები: მობილიზაცია გაუკეთდა როგორც ,,ონის სერვისჯგუფის". ისე კერძო სექტორში არსებულ თოვლის წმენდისათვის საჭირო შესაბამის ტექნიკას. თოვლის წმენდაში

ჩართული იყო 15 ერთეული ბულდოზერის ტიპის სხვადასხვა ტექნიკა. სამუშაოები მიმდინარეობდა ინტენსიურად უწყვეტ რეჟიმში. თოვლის საფარისაგან გაწმენდილი იქნა როგორც ქალაქის შიდა გზები, ისე ყველა სოფლამდე მისასვლელი საავტომობილო გზა. სოფლებამდე მისასვლელი გზების პარალელურად მიმდინარეობდა სოფლების შიდა საუბნო გზების წმენდა, რის შედეგადაც ყველა სახის ტრანსპორტის გადაადგილება შესაძლებელი გახდა. დღეის მდგომარეობით მოძრაობა ყველა მიმართულებით თავისუფალია.

რ. საბანაძემ აღნიშნა, რომ მართლაც დროულად და ოპერატიულად გაიწმინდა სოფ. ცხმორის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლებამდე მისასვლელი და შიდა საუბნო გზები.

ს. ლობჯანიძე დაინტერესდა შპს-ს ბალანსზე არსებული ავტოგრეიდერის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ და კითხვით მიმართა შპს-ს დირექტორს, რატომ არ იქნა გამოყენებული აღნიშნული ტექნიკა თოვლის წმენდაზე, რაზეც ნ. მაისურაძემ უპასუხა, რომ ავტოგრეიდერი საჭიროებს რემონტს.

ე. მაისურაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება მოხდეს ოპერატორების გადამზადება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2023 წ. 21 ნოემბერს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა.

2. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და 2024-2027 პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ

3.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საინფორმაციო სისტემის ქსელის მდგომარეობის შესახებ.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ კომისიის სხდომაზე იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, შემდეგ საკითხებზე-1.ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა, 2. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და 2024-2027 პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ-გამოთქმული შენიშვნები გადაეგზავნოს საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომი რეაგირებისათვის, ხოლო საკითხები -3.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ. 4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი

სარგოების დამტკიცების შესახებ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. 5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საინფორმაციო სისტემის ქსელის მდგომარეობის შესახებ, შტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები გადაეგზავნოს საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომი რეაგირებისათვის.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე